



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 3 23 0000348657



28/03/2023

„უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ივნისის №371 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2023 წლის 27 მარტის №343374 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

- შეტანილ იქნას ცვლილება „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ივნისის №371 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. დამტკიცდეს უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები შემდეგი სახით:
1.1 საზღვაო მეცნიერების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი დანართი №1-ის შესაბამისად;
1.2 საზღვაო ინჟინერიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი დანართი №2-ის შესაბამისად;
1.3 საზღვაო ელექტროინჟინერიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი დანართი №3-ის შესაბამისად.“;
- ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებული „1041.1.1 საზღვაოსნო

მეცნიერების", „0716.1.2 საზღვაო ინჟინერიისა" და „0716.1.4 საზღვაო ელექტროინჟინერიის" დეტალური სფეროების შესაბამისად შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები ამ ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში მოყვანილ იქნეს არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა.

4. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

5. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

